სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის

ბრძანება №9/ნ

2020 წლის 12 მარტი

ქ. თბილისი

დეპოზიტორისთვის ასანაზღაურებელი დაზღვეული დეპოზიტის ანაზღაურებადი თანხის მაქსიმალური ოდენობის – ზღვრის განსაზღვრის თაობაზე

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის და 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ზღვრის ოდენობად განისაზღვროს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის პირველი ივლისიდან.

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის
სააგენტოს უფროსი **ოთარ ძიძიკაშვილი**